# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/68 „15" ივნისი 2015 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესში" შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში - იუსტიციის უმაღლესი საბჭო) რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე ვაკანსიის არსებობისას (მათ შორის, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მოსამართლისათვის უფლებამოსილების გაგრძელებისას) აცხადებს კონკურსს საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი